

სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის“ წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის ოქმიN4

ქ. თბილისი

29 სექტემბერი, 2015 წელი

სხდომას ესწრებოდა სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ 2015 წელს 17 ივნისს არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ედიშერ მაჩაიძე
2. ნესტან ეგეტაშვილი
3. ირაკლი ჩაგანავა
4. გივი გოგობე
5. არსენ ბურჯალიანი
6. დავით კვაჭაძე
7. მანუჩარ დვალი
8. ლუდვიგ ლაღანიძე
9. ვასილ ზაკაშვილი
10. ვასილ ლიპარტელიანი
11. ელისო კვანტალიანი
12. სოფიკო ჩიტაური
13. შაქრო აბრამიშვილი
14. არჩილ სოლომნიშვილი
15. მურზა გუჯეჯიანი

დღის წესრიგი:

1. უნივერსიტეტის სტრუქტურის პროექტის განხილვა-დამტკიცება;
2. საშტატო ნუსხის პროექტის განხილვა-დამტკიცება;
3. სახელფასო განაკვეთის განხილვა-დამტკიცება;
4. უნივერსიტეტში პრემიებისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი;
5. სხვადასხვა.

სხდომა გახსნა წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ. მან სიტყვა გადასცა სსიპ „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - ბატონ ვლადიმერ ბოჟაძეს, რომელმაც სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.

მოისმინეს:

1. ვლადიმერ ბოჟაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო უნივერსიტეტის სტრუქტურის პროექტი;
2. ვლადიმერ ბოჟაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს წარუდგინა საშტატო ნუსხის პროექტი;
3. ვლადიმერ ბოჟაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო სახელფასო განაკვეთი.
4. ვლადიმერ ბოჟაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო პრემიებისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი;

პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სხდომის წევრმა - ვასილ ბაკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულის დასახელება დებულების პროექტის შესაბამისად არის სასწავლო პროცესის სამსახური და არა განყოფილება. იგი ამ ცვლილებებთან დაკავშირებით დაინტერესდა, მას არ ეთანხმება და მხარს არ უჭერს.

მეორე საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა სხდომის წევრმა - ვასილ ბაკაშვილმა. მან აღნიშნა, რომ მისთვის საშტატო ნუსხა (სასწავლო პროცესის უფროსის თანამდებობა) უცნობია, ხოლო ამ თანამდებობისთვის განკუთვნილი ხელფასი კი სხდომაზე გახდა მისთვის ცნობილი, რასაც არ ეთანხმება. ვინაიდან ის განსხვავდება მისთვის მანამდე ცნობილი ანაზღაურებისაგან.

ვასილ ბაკაშვილი ასევე დაინტერესდა შედის თუ არა სახელფასო ნუსხაში სახელფასო დაქვითვა (20%).

ამის შემდეგ, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს მიმართა კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხისათვის (უნივერსიტეტის სტრუქტურის პროექტის განხილვა-დამტკიცებისათვის).

სხდომის 14 წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება. ხოლო სხდომის ერთმა წევრმა კი თავი შეიკავა.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს მიმართა კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხისათვის (საშტატო ნუსხის პროექტის განხილვა-დამტკიცებისათვის).

სხდომის 14 წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება. ხოლო სხდომის ერთმა წევრმა კი ისევ თავი შეიკავა.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს მიმართა კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხისათვის (სახელფასო განაკვეთის განხილვა-დამტკიცებისათვის).

სხდომის 15-ვე წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება.

წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარემ - სპიკერმა ედიშერ მაჩაიძემ სხდომის წევრებს მიმართა კენჭი ეყარათ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე საკითხისათვის (უნივერსიტეტში პრემიებისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი).

სხდომის 15-ვე წევრი მომხრე აღმოჩნდა და ხელის აწევით დაადასტურა თავისი მოსაზრება.

საბჭომ დაადგინა:

1. უნივერსიტეტის სტრუქტურის პროექტი;
2. სამტატო ნუსხის პროექტი;
3. სახელფასო განაკვეთი;
4. უნივერსიტეტში პრემიებისა და ფინანსური დახმარების გაცემის წესი;

წარმომადგენლობითი საბჭოს

თავმჯდომარე - სპიკერი



ედიშერ მაჩაიძე

წარმომადგენლობითი საბჭოს

სხდომის მდივანი



ნესტან ეგეშაშვილი